მოკლე ბიოგრაფია

შოთა ვეშაპიძე დაიბადა საქართველოში, საგარეჯოს რაიონი, სოფელი კაკაბეთი, 1954 წლის 20 სექტემბერს.

1977 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

შოთა ვეშაპიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაამთავრა ასპირანტურა, პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით. 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია რეალური შემოსავლის ფორმირებაზე, ხოლო 2000 წლის 16 თებერვალს სადოქტორო დისერტაცია თემაზე– ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 2002 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

შოთა ვეშაპიძემ დღემდე უწყვეტი და ნაყოფიერი სამსახურებრივი საქმიანობის გზა განვლო.

1977–1984 წლებში მუშაობდა თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმში, „პოლიტიკური ეკონომიის,“ „მრეწველობის ეკონომიკის,“ „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოსახურების ეკონომიკის“ საგნების მასწავლებლად.

1985-1987 წლებში იყო "ტექინფორმის" ეკონომიკური განათლების სექტორის გამგე, 1993 წლიდან თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის (2007 წლიდან ევროპული უნივერსიტეტი) კათედრის გამგე, პროფესორი, პრორექტორი, რექტორი (2001–2010).

2007 წლიდან - 2018 წლამდე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

პარალელურად 2011 წლიდან – 2018 წლამდე, კონკურსის წესით იკავებდა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორის აკადემიურ თანამდებობას.

შოთა ვეშაპიძე 2001 წლიდან, 2018 წლამდე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის მოწვეული პროფესორი- სპეციალისტი, ხოლო 2018 წლიდან - არის ასოცირებული პროფესორი.

შოთა ვეშაპიძე არის ჟურნალების „ახალი ეკონომისტი,“ „ბიზნეს–ინჟინერინგი,“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

შოთა ვეშაპიძე არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, გამოქვეყნებული აქვს 5 მონოგრაფია, მათ შორისაა 2018 წელს გამოცემული– „კაცობრიული ღირებულებები ეკონომიკური ხედვით.“ მისი ავტორობით და თანაავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოებით და დამხმარე სახელმძღვანელოებით, ამჟამად სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება დისციპლინები: „ეკონომიკის საფუძვლები“, „ლოჯისტიკა“, „მსოფლიო ეკონომიკა“, „საერთაშორისო ეკონომიკა,“ „ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია.“ შოთა ვეშაპიძე არის სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე.

შოთა ვეშაპიძის კვლევითი ინტერესის სფეროა ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია, ეროვნული უსაფრთხოების, გლობალიზაციის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, მსოფლიო ეკონომიკის პრობლემები.